ძალა შესწევდეთ ქადილისა

მოსკოვი. ცსკა–ს სტადიონი. 27 ივნისი.

ცსკა – “დინამო” (თბილისი) 1:2 (1:0).

ცსკა: ასტაპოვსკი, ალექსანდროვი, შვეცოვი, ოლშანსკი, გრიგორიევი, ნიკოლაენკო, ჩესნოკოვი, კოლპოვსკი (კორობოჩკა), დულიკი, ბელენკოვი, პეტროსიანი.

“დინამო”: გოგია, გ. მაჩაიძე, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: . სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

გოლები გაიტანეს კოლპოვსკიმ (21–ე წ.), ყიფიანმა (52–ე), შენგელიამ (77–ე).

გაფრთხილებულია დ. მუჯირი.

დუბლიორები 1:0.

ამ მატჩის შედეგზე რომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული, საკამათო არ არის. მეცამეტე ტურს მეტოქენი ქულათა საკმაო მარაგით, ლიდერობის თითქმის თანაბარი სურვილითა და შესაძლებლობებით, მცირერიცხოვანი ფრეებით (წლევანდელ ჩემპიონატში ეს ანგარიშგასაწევი ფაქტორია) მიადგნენ. კიდევ ერთი დეტალი თბილისის “დინამომაც” და ცსკა–მაც საკუთარ მინდორზე მხოლოდ თითო ქულა დაკარგეს.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ავდგეთ და ამ ორი კოლექტივის სახვალიო შანსები გავათნაბროთ, მაგრამ სიტუაციამ ინება და არმიელთა გუნდიც ერთობ ძნელგადასალახავ ზღუდედ აღმართა სწორედ ამ ეტაპზე.

არის მატჩები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება ქულებს და საერთოდ სატურნირო არითმეტიკას. გუშინწინდელი მოსკოვური გამარჯვებაც, ალბათ არ შევცდები თუ ვიტყვი, სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნება.

შეიძლებოდა ამ შეხვედრის შესახებ ვრცლად საუბარი, ურიგო არ იქნებოდა თბილისელთა იმ ორი კომბინაციის აღწერა, რომელსაც სავსებით კანონზომიერი გოლებიც მოჰყვა (დარასელიას დარტყმა, კუთხური, თბილისელებმა იქვე გაითამაშეს, გუცაევის ზუსტი ჩაწოდება, ყიფიანის ეფექტური გოლი; შეტევა მარცხენა ფლანგიდან, მუჯირის ჩაწოდება და შენგელიას ლამაზმა ნახტომმა ყველა იმედი გადაუწურა არმიელთა მცველებს – დროებით მოგერიებული ბურთი ისევ შენგელიამ შეაბრუნა მასპინძელთა კარის ბადეში), შეიძლებოდა გოჩა მაჩაიძისთვის უჩვეულო ადგილზე კარგად, თავგანწირულად თამაშის აღნიშვნა. ისიც შეიძლებოდა მოგვეგონებინა, რომ მაისის თვეში გუნდში შექმნილი ერთობ არასახარბიელო ვითარების შემდეგ თანდათან გამოკეთდა საქმე (ჯერ გუცაევი დაუბრუნდა მინდორს, ახლა კი დარასელიაც). ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, წვრილმანი არ არის, მაგრამ ცსკა–სთან მატჩმა, მისმა შედეგმა და დინამოელთა მოქმედებამ კიდევ ერთხელ მოგვაბრუნა იმ აზრთან, რომ დიდი გამარჯვების მოპოვებას უცილობლად სჭირდება საკუთარი ძალების რწმენა, იმის რწმენა, რომ ნამდვილად სხვებზე ძლიერი ხარ.

უეჭველად იყო სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებიც, მაგრამ პირველყოვლისა, რაღაც ამისმაგვარის ნაკლულობამ შეუშალა ხელი ჩვენს ფეხბურთელებს შარშანდელი სეზონი კიდევ უფრო სახელოვანი გამარჯვებით აღენიშნათ, თუ არ ჩავთვლით ცსკა–სა და კიდევ ორიოდე გუნდთან ნათამაშევ მატჩებს, თბილისის “დინამო” წლეულსაც გვიტოვებს ამ თვითდაჯერებისა თუ თვითრწმენის გამყარების სურვილს.

არმიელებთან შეხვედრის მთელ მანძილზე დინამოელთა თამაშს, ხასიათსაცა და სიმძლავრესაც სწორედ ეს (ჩვენი გუნდისთვის ერთობ დამახასიათებელი, იქნებ ტრადიციულიც) ნიშანი უცვლიდა სახეს. თითოეულ ფეხბურთელს, მერე კი მთელს კოლექტივში გამჟღავნებული ფსიქიკური მდგრადობა თუ მერყეობა საკმაოდ ხელშესახებად შეინიშნებოდა ამ, ჩვენთვის კეთილად დამთავრებულ მატჩშიც.

პირველი ოცდაათი წუთი, სტუმრები როგორღაც მორიდებით თამაშობენ. ცსკა უამისოდაც აგრესიულად იყო განწყობილი და იგრძნო თუ არა თბილისელთა ეს სისუსტე, გულმოცემული და გამხნევებული უფრო მოურიდებელი გახდა. არმიელები სწრაფად მოქმედებენ და მართალია, ამ სიჩქარეში უფრო შესამჩნევად გამოიკვეთა ტექნიკური წუნი, მაგრამ ზემოთქმული ფსიქოლოგიური უპირატესობის გამო (მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაქტორის გამო) პირველი გოლი თბილისელთა კარში გავიდა. არაფერი უცნაური არ არის იმაში, რომ ამ გოლის შემდეგ "დინამოს" თამაშს მეტი სიდინჯე და აზრი დაეტყო. დასაკარგი გუნდს აღარაფერი ჰქონდა, დამშვიდდა და აქედან მოყოლებული მატჩის დასრულებამდე სურვილისამებრ ცვლიდა თამაშის ხასიათს. პირველი ტაიმის ბოლო თხუთმეტ წუთში თბილისელებმა ისიც იგრძნეს, რომ რეალურად შესწევდათ ძალა, ორი თუ არა ქულა მაინც წაეღოთ შინ. თუმცაღა მხოლოდ იგრძნეს – ამ წუთებში ქართველ ფეხბურთელებს გადამჭრელი ზომებისთვის არ მიუმართავთ.

მეორე ტაიმი. ძალა აღმართს ხნავს და არმიელები იძულებული გახდნენ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ეზრუნათ. ფეხბურთს თავისი ლოგიკა, თავისი კანონები აქვს. ამ ლოგიკის შესატყვისად გავიდა ის ორი გოლიც, ამ ლოგიკის შესატყვისად გაიმარჯვა "დინამომ".

ჩემპიონატს ჯერ შუაგულისთვის არ მიუღწევია. მთავარიცა და ძნელი მატჩებიც, თქმა არ უნდა, ჯერ კიდევ სათამაშოა. ბევრი გუნდი შეიცვლის სახეს, არა ერთი და ორი გადანაცვლება მოხდება გათამაშების ცხრილშიც, მაგრამ ალბათ ყველა გულშემატკივრის სურვილს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ამ დარჩენილ ძნელ სავალზე, თითოეულ მატჩში, ჩვენმა ფეხბურთელებმა ის რწმენა უნდა გაიყოლონ, რომ არც არავისზე ნაკლებები არიან და არც არაფერია შეუძლებელი.

ი. ბერიაშვილი.
"ლელო", 29 ივნისი, 1978 წ.